სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

11 / აპრილი / 2025 წ.

KA080152041053525

№ **1185**

განკარგულება

შპს „პი ეს ენერჯის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2025 წლის 7 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „პი ეს ენერჯის“ (ს/ნ: 404598431) 2025 წლის 4 აპრილის მომართვა (რეგისტრაციის №3063), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2025 წლის 8 აპრილს წარმოადგინა 2025 წლის 8 აპრილის დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 3132), რომლითაც მან გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2025 წლის 8 აპრილის №945 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „პი ეს ენერჯის“ (ს/ნ: 404598431) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილების გათვალისწინებით, იწურება 2025 წლის 22 აპრილს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „პი ეს ენერჯის“ (ს/ნ: 404598431) 2025 წლის 23 აპრილიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

თავმჯდომარე ლევან რაზმაძე